„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან [illegible] ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

## იურიდიული ფორმები ჩვენს ხალხში

ისტორია რომ მმართველთა თავგადასავალიდან და ოფიციალურ ამბებიდან სდგებოდეს, იგი დიდი ხანია უმნიშვნელო ზღაპრად გარდიქცეოდა და არ იქნებოდა იმ ძლიერ სწავლად, რომელიც უკვლევს და უნათებს გზას კაცობრიობას. სამწუხაროდ ჩვენი „ისტორიკოსების“ შრომა მოგვაგონებს უფრო ამ გვარ უნაყოფო შრომას, რადგან მათ ხალხი, თავისი იურიდიულის, ეკონომიურის და გონებრივის თვისებით დავიწყებული ჰყავთ. საყურადღებოა ამ მხრივ ბ-ნი ხიზანაშვილის ისტორიული გამოკვლევა „ცხოვრება და კანონი ძველ საქართველოში“ მომწყვდეული «იმედის» ნომრებში და მის მიერ «დროებაში» დაწყებული «ძველი ქართული ოჯახი» თუმცა, რასაკვირველია, დანაკლისი ამითიც არ შეგვისრულდება.

ეს, ვსთქვათ, კიდევ წარსულს შეეხება, ეხლა რაღასა ვხედავთ? გვაქვს ჩვენს ხალხზედ სტატისტიკური და ეკონომიური ცნობები? გვაქვს ცნობები ხალხის ჩვეულებებზედ—დაწესებულებებზედ?!... ჩვენი ხალხის იურიდიულ ფორმების კვალი დღითი დღე იშლება ოინბაზ მწერლების და მე-„სუდებნი უსტავების“ წყალობით; თანდათან ისპობა ეს ეროვნული წარმატების ბურჯი და მათ ნასაფლავებსაც კი, ბერნესი არ იყოს, წარწერიან ლოდებს არ ვადებთ... უნდა ჰნახოთ, სადაც ეს ფორმები უკუკულმართობას არ მოუსპია, რამდენი კაცური და ღვთიური მადლი ტრიალებს მათში! ესენი პირდაპირ გეუბნებიან, რომ ერი, რომელსაც მრავალ ნაირი ყმობა გამოუვლია თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში, მაინც კაცურ ერად დარჩომილა—მაინც სიმართლეს გულში სპეტაკად ატარებს!...

აი, თქვენ წინ არის ქართული ოჯახი, შემდგარი სამოც სულ ადამიანისაგან, ჰყავთ ძროხა, ცხვარი, ღორი, აქვსთ მამულები, შენობანი, გაცემული და ვალიც. ახალ ცხოვრების დენამ არივ-დარია ისინი და იყრებიან. შეიძლება ამ გაყრილთ შორის იყოს მამა, შვილები და შვილიშვილები. კანონით, სანამ მამა ცოცხალია, შვილებსა და შვილიშვილებს არას აძლევს, მაგრამ ჩვენში მამა ყურ-მოჭრილი ყმაა ხალხური იურიდიული ფორმისა. თუ ჯან-ღონე მიხრწნილია, მას მხოლოდ საზრდო და სამკვდრო ერგება შვილებისაგან და თუ შრომას შესძლებს, სხვებთან ერთად თანაბარს წილს გაიტანს. იყოფენ სარჩო-საბადებელს ასე: პური, ღვინო, სიმინდი, მარილი სულზე ჩარექდება; თუ სანახევროდ სხვის ვენახს აკეთებდენ, ან სხვის სიმინდს სანახევროდ უვლიდენ, მაშინ აქედან აღებულს «მკლავზედ» აჩარექებენ, ესე იგი ვინც ბევრსა მუშაობს, იმას უფრო ბევრი ერგება. მამულ-დედულს და შენობას „წილზედ“ ჰყოფენ, საქონელს „მკლავზედ“, ასე რომ შეიძლება მამა და შვილი ერთი წილობანი იყვნენ, მაგრამ ორი წილი საქონელი ერგოთ,—რადგან შვილსაც უამაგნია. მერე ცხვარში მყოფ ძმას «საჯოხეთ» რამდენსამე ცხვარს წილ-გარეითად არგუნებენ, ძროხაში მყოფს «საჯოხეთ» ერთს შიგ დაარჩევინებენ; გუთნი-დედა-ძმას სახნის-საკვეთს, ან ჯამბარას მისცემენ წილგარეითად; სახლის მოთადარიგე-ძმას, თოფს, ხმალს, ან დამბაჩას—ამ ნამეტანის მიცემით ყველას გულს უდებენ, რომ „თავიანთ ნაამაგევი არ დაწყევლონო“.

ვინ არ იცის კანონით რამდენი ვარამი სდევნის «უკანონოდ შობილს», რომელსაც მონაწილეობა არ ეძლევა სხვა ძმების კვალობაზედ. მაგრამ ჩვენი ხალხის იურიდიული ჩვეულება კი აკანონებს: რაკი უკანონოდ შობილი ოჯახშია, შრომობს და მოღვაწეობს სხვებთან ერთად, იგი სრული მოწილეა. ამისათვის არც «კონტრაქტი» უნდა არც ლავიდარაბა. გარეშე «შვილობა», «ძმათ შეყვანა» ჩვენს ოჯახებში ჰხდებოდა უკონტრაქტოდ—მაგრამ მათთვის სრული წილის მიუცემლობაზედ კი ვერავინ დაიყრანტალებდა... აქ ხალხური ჩვეულება რამდენად ახლოა სიმართლესთან, კანონთან შედარებით!...

ანდერძი ჩვენს ხალხში წერილით ძალიან იშვიათი იყო ხოლმე დღემდის. სიტყვიერი ანდერძიც ამაზედ შორს არ მიდიოდა: «ეკლესიასთან დამმარხეთ, ამდენი მღვდელი გამიმგზავრეთ, ან ამისი და ამისი ამდენი ვალი დამრჩა უბარათოდ და გადაიხადეთ, რომ საიქიოს არ წამომედაოსო“ და სხვ... ყველა ესე მტკიცედ სრულდებოდა, მხოლოდ ქონების განაწილებაზედ ხსენება ანდერძში იშვიათად იყო ხოლმე. ან რა საჭირო იყო? ხალხის წმინდა ჩვეულებით ყველამ იცოდა, ვის რა ერგებოდა ქონებიდამ. დღესაც თუ მამამ, გინდ თავის ნაამაგევი, გარეშე-

## სამეგრელო გუშინ*)

ყოველს ქვეყანაში, სადაც სასულიერო წოდება თავის შესაფერს მდგომარეობაში იმყოფება და საზოგადოების საკუთარს წოდებას შეადგენს, ყოველს სოფლის მღვდელს შეუძლიან აჯანყებული ხალხის დამშვიდება, მაგრამ სამეგრელოში სასულიერო წოდება ისე გათახსირებული იყო, რომ მხოლოდ 1842 წ. მთავარმა დავითმა განთავისუფლა ეს წოდება ყმობისაგან. მღვდელი ისეთივე ყმა იყო თავადისა და ისევე ემსახურებოდა მას, როგორც სხვა გლეხები და არა ერთხელ შეიძლებოდა ენახა კაცს მღვდელი თავის ბატონთან მოსამსახურედ. თითქმის ყველა თავადიშვილს ჰქონდა თავის საკუთარი სახლის ეკლესია, რომელიც ბელელსა ჰგავდა და ბანზედ ჯვარი ჰქონდა, შიგნით ნაი-ლაჩრობის კანკელი ხოლო წიგნები, ანტიმისი და ბარძიმ-ფეშხუმი თავადის სარდაფში ინახებოდა. როდესაც წირვა უნდოდათ, მოლარეს ამოჰქონდა სარდაფიდამ ყველა ეს ნივთები, დაუძახებდენ ერთს იმ მოსამსახურეთაგანს, რომელიც მღვდელი იყო, იგი იმოსებოდა და ასრულებდა მღვდელ-მსახურებას. ღვთის-მსახურების შემდეგ ყოველისფერი ისევ სარდაფში ჩაჰქონდათ და მღვდელი ისევ ბატონის სამუშაოს აკეთებდა. მღვდლებს თავადები ისევე ჰყიდდენ, როგორც დანარჩენ ყმებს და სრულიად ნამდვილი შესანიშნავი მოგზაური შარდენის ნაამბობი (იგი იყო სამეგრელოში ორასის წლის წინად) იმაზედ, რომ ერთმა თავადმა თორმეტი მღვდელი მოიწვია პანაშვიდის სახდელად, დაათრო იგინი და ამ სახით მიჰყიდა ერთს ოსმალოს, რომელმაც კოსტანტინოპოლში წაასხა გასასყიდად. თუმცა მთავარმა დავითმა გაანთავისუფლა მღვდლები ბატონ-ყმობისაგან, მაგრამ ეს განთავისუფლება ისეთი ახალი საქმე იყო, რომ მღვდლებს ჯერ თავიანთი საკუთარი წოდება ვერ შეედგინათ; იგინი ისევ გლეხებსა ჰგავდენ, მათს ინტერესებს თანაუგრძნობდენ და ამისათვის დედოფალს ვერ შეეძლო იგინი აჯანყების დასამშვიდებლად მოეხმარა.

ბერები სულ სხვა მდგომარეობაში იყვნენ. აქ მთელი ეპარქია იყო და საკმაო მონასტრები, რომელთაგან მარტვილის მონასტერი ყველაზედ მაღლა იდგა—მასში იყო რეზიდენცია ეპისკოპოსისა, რომელიც ჭყონდიდელად იწოდებოდა; იგი იყო მწყემსი ეკლესიისა და მფლობელი საეკლესიო დიდი მამულებისა, რომელზედაც დასახლებულნი იყვნენ მისი ქვეშევრდომი აზნაურები და გლეხები. ეს მამულები, რომელთაც საჭყონდიდლოს ეძახოდენ, გაფანტულნი იყვნენ მთელს სამეგრელოში, მაგრამ მისი უმთავრესი ნაწილი მდებარეობდა მდინარეთა აბაშისა, ტეხურისა და რიონის შორის და ამ ადგილას სამი ათას კომლზედ მეტი საეკლესიო ყმანი ესახლენ. შუა სოფლად სუჯუნა იყო, რომლის ძველს ეკლესიაშიაც იყო სასწაულთ მომქმედი წმ. გიორგის ხატი. ამ სამეგრელოს მფარველს ხატს სწირავდენ მსხვერპლს, მამულებს და გლეხებს, რომელთა შორის ურიებიც იყვნენ. ძველს დროს ერთს მთავართაგანს შეეწირა ურიები, რომელნიც წმ. გიორგის ხარჯს წმინდა სანთლით ხდილობდენ.

ჭყონდიდელის ასეთმა დამოუკიდებელმა მდგომარეობამ, რომელსაც ბლომად ჰქონდა შემოსავალი, ფული და მიწის მოსავალი, მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება მთავრის დავითისა. როდესაც იგი მთავრად შეიქნა, მაშინ ჭყონდიდელად მისი ბიძა, დედის ძმა იყო, წერეთლების გვარიდამ, კაცი გულ-კეთილი, მაგრამ არა შორსმხედველი. დავითმა მაზედ განუსაზღვრელი გავლენა მოიპოვა და დაარწმუნა იგი, რომ უმჯობესი იქნება ყოველივე გადასახადი საეკლესო გლეხთ ფულად გამოართვაო. მან დაუჯერა დავითს; ყველა კომლს მხოლოდ სამი მანეთი ხარჯი უნდა გადაეხადა, დანარჩენი ხარჯიდამ განთავისუფლებული იყო. ჭყონდიდელს 12 ათასი მან. შემოსდიოდა წელიწადში და ამით სრულიად კმაყოფილდებოდა იგი. გლეხებიც მადლიერნი იყვნენ ამ ნაირის ცვლილებისა. ჭყონდიდელი დარწმუნებული იყო, რომ ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ დავითი კი ამ ცვლილებას შემდეგ ცვლილებათა დერიტად ხადოდა, ესე იგი მას უნდოდა 12 ათასი მანათი თვითონ გადაეხადა ჭყონდიდელისათვის იმ პირობით, რომ მთლად საეკლესიო მამულები მის საკუთრებად გამხდარიყვნენ. რომ ეს განზრახვა აესრულებინა, საჭირო იყო პირველად წმ. გიორგის სასწაულთ მომქმედი ხატი სუჯუნადამ მარტვილში გადაეტანა, რისათვისაც საყურადღებო მიზეზი რამ უნდა მოეძებნა;—მას უნდა ჭყონდიდელი თავის რეზიდენციიდამ სხვაგან გადაესახლებინა და მით მოეპოვა მისი კავშირი სუჯუნის მამულებთან. ეს პლანი გონივრულად ჰქონდა დავითს შედგენილი, მაგრამ თავის ბიძის ჭყონდიდელის სიცოცხლის დროს ამაზედ ხმის ამოღებაც არ შეეძლო, რადგანაც იგი ამაზედ არ დათანხმდებოდა, თუმცა თავის დისწული ძალიან უყვარდა. მაგრამ, აი, ბიძა გადაიცვალა და დავითმა მის მოადგილედ ჯუჭის მონასტრის არქიმანდრიტი თეოფანე, გვარად ბაბუნია, გამოაცხადა. იგი, რასაკვირველია ეპისკოპოსად აკურთხეს და დავითს იმედი ჰქონდა, რომ მისი დახმარებით საეკლესიო მამულებს თავის მამულებთან შეაერთებდა. მაგრამ «კაცი ჰფიქრობდა და ღმერთი კი იცინოდა». თეოფანეს ეპისკოპოსად კურთხევის რამდენიმე თვის შემდეგ დავითი გადაიცვალა და თავის ცოლს დაუგდო ანდერძად ეს პლანი შეესრულებინა. 1855 წლის დამდეგს დედოფალმა დაითანხმა ჭყონდიდელი თეოფანე და მთელი საქმე კოსტანტინეს მიახდო, როგორც ბოქაულთ უხუცესს. იგი მოვიდა სუჯუნას და განზრახვა ჰქონდა შესდგომოდა სასწაულთ მომქმედი წმ. გიორგის ხატის მარტვილში გადატანას; მაგრამ ბატონიშვილებს: გიორ-

*) იხილე „დროება“ № 55.

ზედ გადასცა ანდერძით, ამ გვარ ანდერძს ხალხის სამართალი და აგრეთვე ხშირად აწინდელი სოფლის სასამართლოც არ ამტკიცებს: «უღმერთობაა მამის ნაამაგევი შვილს ასცილდესო» და შვილებს უმტკიცებენ ხოლმე.

წვრილი ობლების მზრუნველობა (опекунъ) ყოველთვის ხალხის დაუკითხავადაც, ახლო მონათესავეს ეკუთნოდა. თუ რამდენიმე მონათესავეთ შორის ამაზე ცილაობა ასტყდებოდა, მაშინ ხალხი სწყვეტდა, ვინ უფრო სასარგებლო იქნებოდა მზრუნველად; მხოლოდ შემდეგში, თუ უწესობას რასმე შეამჩნევდა, მაშინ გარეშე და კეთილ-სინიდისიან პირს აყენებდა. ამ გვარ პირთ ადათისამებრ ყოველივე შემოსავლიდან „ათის-თავი“ ეძლეოდა, რომ უფრო გულდადებით იმზრუნველონო...

ესეთი და ათასი ამ გვარი ჰუმანიური განაჩენნი გვიმტკიცებენ, რომ ხალხში სიმართლე არ მოწყვეტილა-არ მომუსრულა. იქმნება ხალხმა ალარც-კი იცოდეს, ხელმძღვანელობს იგი ისტორიით, წარსულ კანონმდებლობით თუ არა, მაგრამ ისკი გამოკვლეული აქვს, რომ თავისი განაჩენი უნდა დაამყაროს სიმართლეზედ და მარტო სიმართლეზედ. პრაქტიკულად შეიგნებს ხოლმე ხალხი, რომ la Justice prime le droit და რომ სიმართლეს გარეშე სხვა კანონი, სხვა ნება არ არსებობს.

რასაკვირველია, ყველა ეს მოსაზრებანი დაფარულნი არ იყვნენ რუსის კანონ-მდებელთათვის, როცა იგინი ანიჭებდნენ 1868 წ. თებერვლის 19-ში სოფლებს თვით-მმართებლობას; არამც თუ დაფარულნი, იგინი, ალბად ამ გვარ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდენ, როდესაც სოფლის სასამართლოს განაჩენის აპელაციურად განხილვა ვერა ინსტანციას ვერ მიანდეს და მხოლო კასაცია მიანდეს საგუბერნიო სამმართველოს. აწ ძლივს-ძლივობით დახურულმა ქახანოვის კომისიამ რამდენი ზრუნვა გამოიჩინა, როცა ამ საყურადღებო საგნამდე მივიდა და ხალხური განაჩენის აპელაციურად, ანუ არსებითი მხრით (по существу) გარჩევა ვერც იმან ანდო ვისმე.

მაგრამ ტყუილად-კი არ ამბობენ მესვეურნი ისტორიულ გამოკვლევისა, რომ რაც უნდა ლიბერალური კანონები შემოიღონ, თუ საზოგადოება მომზადებული არ არის, უქმად ჩაივლისო... აქაც ესე მოხდა: კანონმდებლობას ჰსურდა დაეცვა ხალხური იურიდიული ფორმები და ამ უკანასკნელთ კი დღითი დღე ვესალმებით... აქ, რასაკვირველია, როგორც განათლებულ წრეზე, ისე თვით ხალხის მოუმზადებლობაზედ სიტყვა არ ითქმის... კეთილი განზრახვა ჩაფუშა ამ ორთა წრეთ შუამავალმა უმეცართ ხროვამ... მრავალ-ფეროვანია ეს ხროვა და სხვათა შორის ამათი მოქმედება მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როცა ჩვენის სოფლების სასამართლოში მოჩივარი დაწერილ „ზაიავლენიით“ შედის, მას „პოვესკა“ ეგზავნება და მოვა, თუ არა მოჩივარი, „რეშანია“ „კნილაში“ „ფორნაზედ“ ვარდება და ერთ თვეზე „ლისტს“ აძლევენ; როცა „აპეკუნად“ ერთ ჩაფ ღვინოზედ ვისაც უნდა, იმას ამოარჩევინებენ და სხვ. სამწუხაროდ ამას ერთსა და ორ სოფელში არ ჰნახავთ ჩვენში. რაღაც მანქანებით ამათთანა სოფლებში მოსამართლენიც და მოხელენიც სულ იმაზე ცახცახებენ რომ „ზაკონს“ არ გადავიდეთო, „ნილაორი“ არ მოგვეცესო. ჩვეულებებზე განაჩენის დამყარება აქ ხსენებაში არც-კია; „სუდი და სუდის უსტავი“ გაუხდიათ იდეალად აწინდელ დროს ხალხის სასამართლოსათვის—კანონ-მდებელის განათლებული მოსაზრება-კი სწორედ ამას ერიდებოდა.

რა გაიგეს, რომ სოფლის სასამართლოს განაჩენი მარტო ფორმით და კასაციურად ირჩევა სხვა ინსტანციაშიო, ჩაესაფრა მას სოფლის მწერალი ეს—ახალი დროის ყიზილბაში იმ მხრით, რა მხრითაც ყიზილბაშთ პირველი დებიუტი იყო ალექსანდრიის წიგნთ-საცავის მომუსვრა... ოღონდ „ყრონქი“ ამას და მოსამართლეებს ერთად „ჩაუსველოს“ გლეხმა და ათასი მტყუანი იყოს, „ფორნაზედ რეშენიას ჩასწერენ კნილაში“ და ეშმაკიც ვეღარას უზამს. „ფორნაზე“ კიდევ ის გახლავთ, რომ წესიერად იყოს განაჩენი „ჩაგდებული“, რომ ნომერიც უჯდეს, რიცხვიც, სამთავ „სუდიების“ ბეჭდები ესვას და შიგვე იყოს მოხსენებული „რომ ორთავე მხარეს იქავ გამოეუცხადეთ“, რადგან სოფლის წესდებით, თუ მოპასუხე იქ არ არის, გადაწყვეტა საქმისა არ შეიძლება. იყოს, არ იყოს იქ მოპასუხე, თუ ეს სიტყვებია განაჩენში, ამას ალარავინ იძიებს და კასაცია „არ გასჭრის“...

— თედო, ჩვენ პატივისცემისთვის მადლობელი ვართ, მაგრამ მწერალს გული კარგად დაუდ[illegible], — ხო იცი, „ფორნას“ დააკლებს და წიტრიკასაც თითონვე ეტყვის — ურჩევენ ხოლმე ხშირად სოფლის მოსამართლეები მოჩივარ გლეხს, როცა მისი სახლიდან ნაქეიფევნი გამოდიან...

— ეგ ხომ ვიცი, არც მაგრე რეგვენი ვარ, — უპასუხებს ხოლმე თადოც და სალამოთი ძღვნით მწერალთან მიდის...

„წიტრიკა“ და სოფლის მწერალი აწინდელ დროის ღვიძლი ძმები არიან „ის მას აცხოვრებს—მან ის აცხოვროს“—პოეტისა არ იყვეს... „წიტრიკაები“ ბევრნი არიან ჩვენს საქართველოში. ამათი ბარგი-ბარხანა გახლავთ გაჭეპირებული „სუდებნი უსტავი“ და ორი ნაწილი მეათე ტომისა. ამით დაუძლევის ის თამამად „სუდებნი პრისტავს“, პოლიციისას, აქციზის ჩინოვნიკს. თითონ „კეთილ-შობილის“ ხმა აქვს დავარდნილი, ყველა წოდების კაცს დარიგებას აძლევს, „ზაიავლენიებს“ უწერს—გუბერნატორთან სოფლის სასამართლოს განაჩენების დარღვევის ქაღალდებს... ერთი სიტყვით ეს სული და გულია სოფლისა. გლეხები ჩხუბში ერთმანეთს „წიტრიკათი“ ემუქრებიან... რაინდნი ჩვენი იურიდიული ფორმების წინაღმდეგ „წიტრიკაები“ და სოფლის მწერლები გახლავან და ამათ ოინს „ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენნი ენა მჭევრნი“, ვიტყვი გურამიანის სიტყვებით.

ხალხს თუმცა ეშინიან ამ „მოღვაწეებისა“, მაგრამ ინსტინქტიურად სძაგს

---

გის, პეტრეს და ბესარიონს ეს არ ეჭაშნიკათ და თავიანთ აგენტები გაგზავნეს საჭყონდიდლოში კონსტანტინეს განზრახვის განსამარტებლად. ამ ამბავმა ყველანი ფეხზედ დააყენა და კონსტანტინე ისეთს დაბრკოლებას შეეყარა სუჯუნაში, რომ აქედამ უნდა გაპარულიყო, თუ თავის სიცოცხლე უნდოდა. იმის კაცებს ძალიან სცემეს. ამის შემდეგ თვისდა-უნებურად გადასდეს ეს საქმე, სანამ ამის შესასრულებლად სხვა უკეთესი დრო დადგებოდა; იმ დრომდე კი ერთი მოწინააღმდეგეთაგანი საეკლესიო აზნაური მეთოდე ხოშტარია ლეჩხუმის ციხეს მურში დაატუსაღეს, ფეხებში ბორკილებ-შეყრილი და ძმა მისი, ბერი ივანე, ანუ ივანე ბერი, გაგზავნეს მცხეთის მონასტერში დასატუსაღებლად, სადაც იგი მალე გარდაიცვალა. ამისთანა ამბებმა სიმძულვარე ჩამოაგდო დედოფლისა და საეკლესიო აზნაურგლეხთა შორის და თუმცა საეკლესიო გლეხები საზოგადო აჯანყებაში არ გარეულან, მაგრამ დედოფალს კი არც მათი და არც საეკლესიო აზნაურების მხრივ დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც მათ ისე არაფერი უნდოდათ, როგორც მთავრის მმართველობის გაუქმება.

აი, რამდენი ძლიერი მტრები იდგნენ დედოფლის წინაშე და საიდამ მოელოდა დახმარებას მათთან საბრძოლველად?

თავის უფროს მაზლს გრიგოლს, რომელზედაც ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ, დედოფალი არამც თუ თავის პირად-მტრად, —მთელი თავის სახლობის მტრად სთვლიდა; გრიგოლს კუდიკუდს დასდევდენ გამრავლებული გვარი თავად ფალავებისა და სახლობა ტაია დადიანისა, რომელთა სახლშიაც გრიგოლი აღზრდილიყო. უმცროსი მაზლი დედოფლისა, კონსტანტინე, თუმცა ერთგული იყო მისი და მისი შვილებისა და ასრულებდა ბოქაულთ უხუცესის თანამდებობას, მაგრამ მას ერთი გროვა ისეთი ხალხი ეხვია გარშემო, რომელმაც ქეიფისა, სმისა და ნადირობის მეტი არა იცოდარა. დარჩა მხოლოდ გამრავლებული გვარი თავადთა და აზნაურთა ჩიქოვანებისა, რომელნიც დავითმა თავის აგენტებად გაიხადა, როგორც ადმინისტრაციაში და სასამართლოში, ისე მამულების გამგეობაში. მაგრამ შეეძლოთ ჩიქოვანებს წინააღმდეგობა გაეწიათ საზოგადო სურვილისათვის, ებრძოლათ ყველასთან და თითქმის მთლად გლეხების აჯანყება დაემშვიდებინათ? იგინი ეჯავრებოდენ მთლად ხალხს, ამას თვით ჩიქოვანებიცა გრძნობდენ და ამისათვის მთავრის გარშემო მოიყარეს თავი, როგორც მისი უფლების უძლურთ დამცველთ.

როდესაც ეს სურათი მაშინდელის სამეგრელოს მდგომარეობისა დედოფალს თვალ-წინ წარმოუდგა, საშინლად შეწუხდა, ისე საშინლად, რომ ვისაც-კი იგი ამ რამდენიმე თვის წინად თბილისში ენახა—ვეღარც-კი იცნობდა, ისე ძლიერად გამოსცვალა ამ უსიამოვნებამ. სიზმარსავით გახვლო იმ ბედნიერმა დრომ, როდესაც დედოფალი ხემწიფის სკიპტრის ახლოს იმყოფებოდა და ყველა მის გარეშემო მყოფნი მას თაყვანსა-სცემდენ. აწმყო დრო წარსულთან შედარებით სატანჯველი იყო. მისი მდგომარეობა მით უფრო საშინელი იყო, რომ იგი თავის თავს ყველგან დავიწყებულად რაცხდა. ყველა ეს მისი მოთაბირენი, გრიგოლი, კონსტანტინე, ეპისკოპოსი უფრო აწუხებდენ მას; ამ მდგომარეობიდამ თავის დახსნა-კი საშინლად უნდოდა და ამისათვის მან განიზრახა მშველელად რუსის მხედრობა მიეწვია. დედოფალს ეგონა, რომ რამდენიმე ასი ყაზახი სრულიად მოსპობდა აჯანყებას, გლეხები თავ-თავის სახლში დაბრუნდებოდენ, ქვეყანა დამშვიდდებოდა და მაშინ მისი უფლება კვლავად დამკვიდრდებოდა, თუ რომ, რასაკვირველია, გრიგოლს და რამდენსამე ბატონიშვილებს თავის აგენტებით სამეგრელოდამ გააძევებდენ. და ამ საქმეში მას ისე კარგად ვინ დაეხმარებოდა, როგორც ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლიუბაკინი, რომელიც ერთს დროს თბილისში მის თაყვანის-მცემელთ რიცხვში ითვლებოდა, რომელნიც მზად იყვნენ ყოველივე მისი სურვილი აესრულებინათ. კოლიუბაკინმა, არა ერთხელ დაუმტკიცა დედოფალს თავისი მეგობრობა თავის დარიგებით და კალმით. მან დაუწერა დედოფალს პასუხი ომარ-ფაშასთან, რომელიც თუმცა ძალიან მოხერხებული წერილი იყო, მაგრამ თავადის ვ. ო. ბებუთოვის თხოვნისაგამო არ გაიგზავნა.

როგორც-კი ეს მოიფიქრა დედოფალმა ეკატერინემ, მაშინვე გაგზავნა კოლიუბაკინთან განწირულებით სავსე წერილი და მოუთმენელად ელოდა წერილის პასუხს.

მაგრამ, სანამ სამეგრელოში აჯანყების დროს გადავიდოდეთ, ჩვენ საჭიროდ ერაცხთ გავაცნოთ მკითხველს დედოფლისაგან საშველად მიწვეული პირი ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლიუბაკინი.

## VI

ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ პეტრეს ძენი კოლიუბაკინები კავკასიაში შესანიშნავი მომქმედი პირთაგანნი იყვნენ. ორივემ ცარსკო-სელსკის ლიცეის პანსიონში შეასრულეს სწავლა და მაშასადამე მაშინდელს მოწინავე და განათლებულს ახალგაზრდობას ეკუთვნოდენ. სწავლის შესრულების შემდეგ ორივე ძმებმა სამხედრო სამსახური ამოირჩიეს. ნიკოლოზ პეტრეს ძე მისი უდიდებულესობის ულანის პოლკის კორნეტი იყო, როდესაც პოლშის არეულობა მოხდა 1831 წელს. იგი დაესწრო ამ ომიანობას, დაიჭრა და ომის გათავების შემდეგ გადავიდა ულანის ერთს პოლკში, სადაც მას ისეთი საქმე შეემთხვა, რომელსაც მისთვის ცუდი შედეგი ჰქონდა. ნიკოლოზი საშინელი თავმოყვარე და ფიცხი ხასიათის კაცი იყო, რისაგამოც მას შეჯახება მოუხდა პოლკის კომანდირ პოლკოვნიკ მერეინოვთან და შეურაცხება მიაყენა მას; ამისთვის იგი გაასალდათეს და კავკასიაში ლინეინის ბატალიონში გამოგზავნეს.

ამ დაშორებულს ჩვენს მხარეზე, სადაც მაშინ საშინელი ომი იყო

იგინი, როგორც შემმუსრველნი სიმართლეზედ დამყარებულის მისის იურიდიული ფორმებისა.

აი, ამის მაგალითიც:

ერთ სოფლის ,,ოინბაზ'' მწერლის დამარხვაში დაევსწარ. ხალხმა კუბოს თავზედ ორი თალამი ქუფათა ძეძვი დასდო და ისე მიაყარა მიწა; როცა გამოცნობა მოვინდომე ამ უცნაურ მოვლენისა—მითხრეს: ,,ისეთი რამ იყო, რომ გვეშინიან საფლავიდან ალარ ამოვიდესო''...

შაქრო.

## შინაური ქრონიკა

— ვას. ალ. აბაშიძეს მოსვლია ნება-რთვა ყოველ კვირული სალიტერატურო-თეატრალურ-მხატვრობით ჟურნალის გამოცემისათვის. მომავალს აპრილში დაიწყება გამოცემა ამ ჟურნალისაო.

— ზოგიერთ იმ აგენტთაგანს, რომელნიც სამინისტროსაგან დაინიშნენ ამ ერთის წლის წინად სახემწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების ვითარების ასაწერად, შეუკრებიათ ცნობანი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთს კუთხეებზე და ამ ჟამად ეს ცნობები კიდეც იბეჭდებიანო. დაბეჭდილი ცნობანი გაეგზავნება თავდაპირველად სახემწიფო ქონებათა მინისტრს და შემდეგ ამავე ცნობათ განიხილვენ ადგილობრივი ადმინისტრაცია და ხსენებულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების მცოდნენი.

— ოთხშაბათს, მარტის 11-ს, ქალაქის საბჭოში შესდგა მორიგი სხდომა, რომელზედაც სხვათა შორის ქალაქის თავმა მოკლედ განუმარტა რჩევას ბ. ბელოის საჩივარი გამგეობაზე, რომელმაც უარი უთხრა ხსენებულს ბელოის პავილიონის აშენებაზე. საჩივარმა გაცხარებული მსჯელობა გამოიწვია; ქალაქის თავი და საბჭოს წევრები ამბობდენ, რომ თუმცა კი ჯერ საბჭოს ამის შესახებ განჩინება არ დაუდგენიაო, მაგრამ პრინციპიულად დიდი ხანია გადაწყვეტილია, რომ გოლოვინის პროსპექტზედ პავილიონების აშენება ყველას აღკრძალოსო; ამიტომ 5 წელიწადია მას შემდეგ, რაც საბჭო აღარავის ნებას აღარ აძლევს, რომ იქ პავილიონები ააშენონო, თუმცა ამ გვარივე თხოვნები ბ. ივანოვმა და სხვებმა შემოიტანესო. ამის წინაალმდეგ ხმოსანმა ალადათოვმა უპასუხა, რომ გამგეობის წინადადებით შარშან ქალაქის საბჭომ ნება-რთვა განაცხადა მირიმანოვის სახლის სიახლოვეს სასმელებისათვის სკამებისა და სტოლების გამართვაზეო; გამგეობამვე ნება მისცა შავერდოვს აეშენებინა პავილიონი საუკეთესო ადგილზედ და ქალაქის სასარგებლოდ ეხადნა 100 მანათი; ნუ თუ ამაზედ უფრო სასარგებლო არ იქნება, რომ ბ. ბელოის საწიგნო პავილიონის აშენების ნება მივსცეთო, მით უფრო რომ მისგან 600 მან. სარგებლობა გვექნებაო. ბოლოს საქმე კენჭზე მივარდა და პავილიონების აშენების მომხრენი გამოჩნდენ 5 ხმოსანი და მოწინააღმდეგენი—19.

— სოხუმელი კორესპონდენტი გვწერს: ,,აქ გადმოიყვანეს ვილაც ს. კაბილიანსკი აქციზის მოხელე, სოხუმელ ვაჭრების თვალ-ყურის სადევნებლად. ერთს მშვენიერს დღეს, (მარტის 5-ს) მდ. ბუზისტის შესართავში დამღრჩვალი იპოვეს ეს მოხელე. გამოძიებისათვის არავის ასტკენია მაინცა და მაინც თავი. მხოლოდ ამას კი ამბობენ იქნება მთვრალობაში უეცრად გადავარდა წყალშიო. განსვენებული სმას მეტად ეწყობოდა.''

— სოხუმიდამვე გვწერენ: ,,ერთმა აქაურმა გადამწერმა მალიარი რუსი დასჭრა გასულს კვირაში დანით და საცოდავმა მარტის 8-ს უკვე დალია სული. გადამწერი დღესაც თავისუფლად დასეირნობს''.

— საფრანგეთის ინჟინერს მასგელეს დაუსრულებია პროექტი თბილისში წყლის გაყვანისა და მარტის 13-ს გამგზავრებულა საფრანგეთში (,,ნოვ. ობ.'').

— მთავარ-მმართებლის საბჭოს წევრს, სტატსკი სოვეტნიკს გუზაევს, ამ მოკლე ხანში შეუდგენია პროექტი ხიზნების მდგომარეობის შესახებ; ეს პროექტი, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა სამმართველოს წევრებისა და ადგილობრივის მემამულეთა აზრის დართვით ამ თვის დამლევს, ანუ მომავალი თვის პირველ რიცხვებში გარჩეულ იქმნებაო მთავარ-მმართებლის საბჭოში. შემდეგ საბჭოსაგან გამორკვეული წესდება ამ გაზაფხულითვე მთავარ-მმართებლისაგან წარდგენილ იქმნება შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, რომელმაც [illegible] პროექტი უნდა წარადგინოს [illegible] დასამტკიცებლად (,,ნოვ. ობ.'').

## ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

მარტის 13-ს.

პეტერბურგი. ლონდონში, ბერლინში და ამსტერდამში რუსეთის ვალიუტამ და ფონდებმა მეტად დაიწია; ამის მიზეზით ვექსელების კურსმა პეტერბურგში დაიწია: $24\frac{13}{16}$ ფენ. ლონდონზე, $211\frac{1}{2}$ ფენ. ბერლინზე და 262 სანტ. პარიჟზე. პოლუიმპერიალმა ოქრომ აიწია 7 მან. 93 კაპ.

თბილისის სათავადო-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებში, რომელნიც $27\frac{1}{2}$ წლის ვადისა არიან, გამსყიდველნი თხოულობენ 89 მან. და მსყიდველნი იძლევიან $88\frac{1}{2}$ მან. და რომელნიც $43\frac{1}{2}$ წ. ვადისა არიან, მათში მსყიდველნი აძლევენ 88 მან. გამსყიდველნი თხოულობენ $88\frac{3}{4}$ მან.

რომი. რომის პაპამ ჩინეთის ბოგდიხანს თხოვნის წერილი გაუგზავნა, რომ მან ჩინეთში მცხოვრები ქრისტიანები და მისიონერები თავის მფარველობის ქვეშ იყოლიოს.

მარტის 14-ს.

პეტერბურგი. არავითარი საფუძველი არა აქვს ბირჟაზედ გავრცე-

---

ატეხილი მთიელ ხალხთან, რომელიც ძალე არ გათავდებოდა, ათასხაირი ლეგენდური და პოეტური ამბები დადიოდა საზოგადოებაში პუშკინისა, მარლინსკისა და ლერმონტოვის წყალობით; ბევრი საკვირველი ხმები იყვნენ გავრცელებულნი კავკასიის შესახებ; იქიდამ მოსულებს ჩვენი საზოგადოება ისე ეგებებოდა, როგორც გმირებს; მათი ნაამბობი ყველა დიდისა და პატარის გულს ატყვევებდა და კავკასია რაღაც გამოცანა ქვეყნად გადიქცა. რისთვის არისო ომი ჩერქეზებთან, კითხულობდა საზოგადოება, როდესაც იქ ყოველს ნაბიჯზედ შეხვდები ამალათ-ბეგებს და იმისთანა ქალებს როგორიც არის კავკასიის პატიმრის გმირი ქალიო, — ყველა იგინი ხომ იდეალები არიან ზნეობითის სილამაზისა და როგორ შეიძლება იმისთანა ხალხთან ბრძოლა, რომელიც ამისთანა პირებს ჰბადავსო. ეს კითხვები თავის-თავად იბადებოდენ კავკასიის შესახებ დაწერილ მოთხრობების წაკითხვის შემდეგ; მე ეხლაც მახსოვს ის პასუხი, რომელიც მისცა ამ კითხვების შესახებ, სხვათა შორის, ჩვენმა პატივცემულმა და ორიგინალურმა პროფესორმა მოსკოვის უნივერსიტეტისა ფ. ლ. მოროშკინმა. ,,კავკასია'', მისის აზრით, ,,სამჭედლო იყო, სადაც რუსეთის ერის ხასიათი უნდა გამაგრებულიყოო. ამის მეტი მას არაფერი უთქვამს. მისთვის საჭირო არ იყო ეთქვა, თუ რისთვის იყო ომი და როდის გათავდებოდა; იგი, როგორც მრავალი მისი თანამედროვენიც, ფიქრობდა, რომ კავკასიის ომი თავის დღეში არ გათავდება, მით უფრო რომ ჭოლარა-თმიანი გენერალი, რომელსაც შეეძლო ამ ომის გათავება, მოსკოვში, თავის საკუთარს სახლში სცხოვრობდა და დღე და დღე საფლავს უახლოვდებოდა. კავკასიის შესახებ პროფესორისაგან წარმოთქმულს სიტყვებში მცირეოდენი სიმართლე იყო: მართლაც რომ აქ უმაგრდებოდათ ზოგიერთებს ხასიათი რუსისათვის იმ უჩვეულო ომის გამო, რომელიც კავკასიაში ხდებოდა.

ტყუილად როდი გზავნიდენ ხასიათის გასასწორებლად ზოგიერთა ყმაწვილ-კაცებს, რომელნიც რაიმეს დააშავებდენ. ბევრნი კავკასიაში და სასჯელად გამოგზავნილნი, დაბრუნდენ უკან შესანიშნავ და საქმიან კაცებად. რუსეთის ერთი მუჭა ხალხი, გადმოცვინული აქ მთიელებთან საბრძოლველად, სხვა არაფერზედ ჰფიქრობდა თუ არ ომსა და გამარჯვებაზედ. კავკასიის მრისხანე ბუნება სიფხიზლესა და სიმამაცეს ასწავლიდა რუსეთის კაცს. აქ კაცის ღირსებად უშიშრობა და ვაჟკაცობა ითვლებოდა და ისე ძალიან საჭირო არსად იყო ნამდვილი გმირი კაცი, როგორც აქ. აქ განათლებული და ნიჭიერი კაცი არამც თუ სულით და ხორცით მოეშვებოდა, არამედ უფრო ფხიზლდებოდა და მხნევდებოდა. ამ მხრივ კავკასია მართლა სამჭედლო იყო და აქ გადმოაგდო ბედმა ნიკოლოზ პეტრეს-ძე პოლიუბიაკინიც. ამ ახალმა ქვეყანამ გადაარჩინა იგი საუკუნოდ დაღუპვისაგან.

პირველად მის აღმზრდელად შეიქმნა კავკასიის სალდათი, რომელთან ერთადაც იგი ეწეოდა სამსახურის მძიმე უღელს. ამ სასტიკს სკოლაში ფიცხი ხასიათის ახალ-გაზრდა ნიკოლოზმა პირველად შეიგნო და დაფასა ნათელი სიმართლისა და მთლად თავის სიცოცხლეში ერთგულად მისდევდა ამ სიმართლის ნათელს. პირველს თავის გალაშქრებას სალდათობაში იგი თავის დღეში არ ივიწყებდა იმ სიტყვების გამო, რომელნიც მას ერთმა სალდათმა უთხრა.—«შენ როგორ უმიზნებ თოფს კაცსა, უთხრა მას ერთმა სალდათმა: შენ თვითონ უბედური და დასჯილი კაცი ხარ და გინდა კი სხვას სიცოცხლე წაართვა. იცოდე, რომ ღმერთი ამისთვის უფრო ძლიერ დაგსჯის». ეს სიტყვები ისეთის კილოთი და გულწრფელობით იყვნენ წარმოთქმულნი, რომ ნიკოლოზის ხასიათში სრული ცვლილება მოხდა. ნიკოლოზ პეტრეს-ძე ყოველთვის იგონებდა ხოლმე თავის სალდათობას ისე, როგორც თევდორე მიხაილის-ძე დოსტოევსკი თავის კატორგაში ყოფნას

ბატალიონი, რომელშიაც ჩარიცხულ იქმნა პოლიუბიაკინი სალდათად, გენერალი ველიამინოვის რაზმს ეკუთვნოდა და ამ გენერალის გარშემო ჰქონდათ თავი მოყრილი მამინდელ საუკეთესო სამხედრო კაცებს; მისსავე რაზმში იყო წრე დეკაბრისტებისა და პოლშის მაგნატებისა, რომელნიც იყვნენ გამოგზავნილნი 1831 წლის არეულობის მოხდენისათვის. ძმანი ბესტუჟევები, ოდოევსკი, სანდუშკო, ჩერკასოვი, კორნილოვიჩი და სხვენი შეადგენდენ ამ „წრეს უბედურებისას“, როგორც მაშინ ეძახოდენ. ამ პირთ პოლიუბიაკინი გაცნობის უმალვე მიიღეს თავიანთ წრეში, მთავრობის წინაშე წააყენეს და დაუახლოვეს იმ არისტოკრატიულს ახალ-გაზრდობას, რომელიც პეტერბურგიდამ მოდიოდა ველიამინოვის რაზმში სახელის მოსახვეჭელად. ამ სახით, 1835 წელს, პოლიუბიაკინმა სალდათის წმ. გიორგის ჯვარი დაიმსახურა და გაიცნო კორნეტი თავადი ა. ი. ბარიათინსკი. როდესაც ეს უკანასკნელი დაიჭრა, პოლიუბიაკინმა ასწია იგი და გამოიტანა ბრძოლიდამ. ბარიათინსკის ყოველთვის ახსოვდა ესა, და როდესაც მორჩენის იმედი აღარა ჰქონდა, მან სთხოვა გენერალს ველიამინოვს ეშუამდგომლა ხემწიფის წინაშე, რომ პოლიუბიაკინისათვის აფიცრობა მიეცათ. რასაკვირველია, ამ გარემოებამ კარგი გავლენა იქონია პოლიუბიაკინის ბედზედ და მან მეორე წელიწადს, ფეხში დაჭრის შემდეგ, პრაპორშჩიკობა მიიღო. იგი წავიდა პიატიგორსკში ჭრილობის მოსარჩენად. ამის შემდეგ გადავიდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში, რომლის კომანდირად თავის დროს გამოჩენილი გენერალი ბეზობრაზოვი იყო. პოლიუბიაკინის ერთგულმა სამსახურმა მალე იჩინა თავი.

ამ დღიდგან იწყება მისი წარმატება სამსახურში. იგი იყო ადიუტანტად ჯერ გენერალ ბუდბერგისა, შემდეგ გენერალის გრაფის ანრეპისა, მსახურებდა შავი ზღვის ნაპირებზედაც და კახეთშიაც, დაღისტნის სამზღვარზედ.

(შემდეგი იქნება)

ლებულს იმ ხმას, ვითომც ლორდ გრენვილის უკანასკნელს ნოტაზედ ავღანის საზღვრების შესახებ ჩვენს მთავრობას ნოტითვე მიეცეს პასუხი და ეს პასუხი ლონდონში არ შეეწყნარებინოთ. ნამდვილის ცნობებიდამ სჩანს, რომ რუსეთის მთავრობას ჯერ არავითარი პასუხი არ მიუცია.

შესახებ გლადსტონის განცხადებისა საზოგადოებათა პალატაში, რომ სასარგებლო არ არის დაწვრილებით ახსნას ავღანის საზღვრის შესახებ კითხვა იმის გამო, რომ მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულაო.

„ჟურნალ-დე-სან-პეტერბურგ"-ი ამბობს, რომ ეს სიტყვები გონივრულნი არიანო და ჩვენც, რა თქმა უნდა, არ უარს ვყოფთ იმ რჩევას, რომელიც მისცა თავის მსმენელებს ინგლისის გაბინეთის მოთავემაო.

ფინანსთა მინისტრს ამ კვირას შეაქვს სახელმწიფო რჩევაში წინადადება, რომ შეიცვალოს ტამოჟნის გადასახადი საზღვარ გარეთიდამ შემოტანილს ზოგიერთს საქონელზედ.

ფორმის ტანისამოსის შემოღება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სრულიად გადაწყვეტილია. ჰფიქრობენ ისევ ძველს ფორმის შემოღებას.

ის ხმები, ვითომც კოხანოვის კომისია დახურულიყო — ტყუილი გამოდგენ. კომისიას ეხლა მსჯელობა აქვს გუბერნიის საბჭოს შესახებ.

„დროების" ფოსტა.

ბ—ს. წერილისათვის გმადლობთ. მარჯვე დროს მოგვესწრო. მოგვაწოდეთ დაპირებული „ტაბლიცები". მაგითი მაინც პირში ბურთი ჩავჩაროთ ჩვენს ძალად მაცხონებს.

ს. ჭ—თს. ლ. წ—ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ფოთს. ატოს. რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ, რომ სახელისა და გვარის შეუტყობინებლად ვერავისას დავბეჭდავთ.

## ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაბინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

## განცხადებანი

დაყიდვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ჭადრაკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—8)

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საჯარაქე, სამაჯრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, საფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათხევები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ადვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხათვანგები, ნიჩბები, გატერპერუჩი, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ქმალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—7)

შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542). (46—6)

## ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16 - 14)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—99)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სპირტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო კალმები




ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია — არწრუნისეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის", 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირ-სახოცები, ჰოჭონები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა" (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—9)

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა ლანგოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის საზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩვენი | ჩაი | 1 მან.—კაპ. | ჩაის სხვაგან 1 მან. 20 ღირებულს. |
| „ | „ | 1 — 20 — | „ „ 1 — 50 — |
| „ | „ | 1 — 40 — | „ „ 1 — 80 — |
| „ | იშვიათი | 1 — 60 — | „ „ 2 — 20 — |
| „ | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | „ „ 2 — 50 — |
| „ | ჭუჩქუ | 2 — „ — | „ „ 2 — 80 — |
| „ | ფენოშენი | 2 — 40 — | „ „ 3 — „ — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესსენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უჩვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავოტებისას და სხვ... (100—9)

Поз. ценз. Тифлисъ, 14 Марта 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.